ცნობის ფურცელი

№ 2536 შაბათი, 26 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2536

გაზეთი ღირს: წლიურადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში [illegible] დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—131)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნება მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ოც-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მოთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-ში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულს ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართოს როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (15—6—2)

ქუთაისში
სასტუმრო „როსია“

ამა 1904 წლის პირველ მარიამობისთვიდან გადადის ნიკოლაძის სახლებში გიმნაზიის ქუჩაზე ქალაქის ბულვარის პირდაპირ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გვერდით. (15—კ. ნ.—)4.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

გ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. შუხუთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმის
ი. პ. ახალშენიშვილის
კაბინეთში 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე ავადმყოფების მიღება შეწყვეტილია. (5—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეში, მისს უდიდებულესობას 22 ივნისს: „12 ივნისს ვაფანგოუს მიდამოებში (სენიუჩენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, 14 ვერსის მანძილზე) მზვერავ რაზმებს შორის ასტყდა სროლა, რომლის შემდეგაც იაპონიის რაზმები სამხრეთისკენ წავიდნენ. ჩვენ მხოლოდ ორი ცხენი დაგვიჭრეს. სიაობენტუნის მიდამოებში, გალოს სიმაღლეებზე (სიადიანის სამხრეთით, 10 ვერსის მანძილზე), ხელახლა ასტყდა სროლა მზვერავ რაზმებს შორის. ჩვენ ორი ყაზახი მოგვიკლეს, ორიც დაგვიჭრეს; ამას გარდა დავკარგეთ 9 ცხენი. სამხრეთისკენ მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ სოფელ იანშუფანთან იაპონიის მოწინავე ჯარია. ამ ჯარში იქნება 1000 სალდათი ქვეითა ჯარისა, ერთი ესკადრონი და 4 ზარბაზანი. ჩინსტონის ხეობაში იაპონელებს ჰყავთ ერთი ბატალიონი, 12 ზარბაზანი და ერთი ესკადრონი. უფრო დიდი ჯარი იაპონელებისა იქით არის, უანფუნანთან. როგორც ჩინელები ამბობენ, ეს ჯარი იაპონელებს გადმოუსხამთ დაჩუანხში (დაგუშანის სამხრეთ-დასავლეთით, 60 ვერის მანძილზე). 21 ივნისს ყაზახთა მზვერავი რაზმი და სხვა ცხენოსნები პალიამძამდე მივიდნენ. პალიამძა მდებარეობს მდ. ჩინსტონის მარცხენა ტოტის ხეობაში. პალიამძის სამხრეთით ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს საკმაოდ ძლიერი ჯარი იაპონელებისა. პალიამძისთან სროლა ასტყდა ჩვენსა და იაპონელ მზვერავებს შორის. ჩვენ დაგვიჭრეს ერთი ყაზახი. 21 ივნისს იმ გზაზე, რომელიც უიდალინის უღელტეხილისაკენ მიდის, ჩვენმა ორმა როტამ და ერთმა სოტნამ უკან დასწიეს იაპონელთა მოწინავე რაზმი. ჩვენ ერთი ყაზახი მოგვიკლეს, ერთი დაგვიჭრეს და სამიც უკვალოდ დავკარგეთ.“

ვიცე-ადმირალის სკრიდლოვის დეპეშა, მისს უდიდებულესობას: 1. „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ, მეორე რანგის კაპიტნის, ბარონ რადენის უფროსობით, ვლადივოსტოკიდან გენზანის ნავთსადგურში დასაზვერად გაიგზავნა ნაღმიან გემთა რაზმი და ტრანსპორტი „ლენა“. ამ რაზმმა გამოარკვია, რომ გენზანის ნავთსადგურში იაპონელთა არც ერთი სამხედრო გემი არ იყო. რეიდზე იდგა მხოლოდ პატარა სავაჭრო გემი და შხუნა. ჩვენებმა ამ გემებიდან ხალხი ნაპირზე გადასხეს და გემები დასწვეს. დასწვეს აგრეთვე ნავები. მერე შეამჩნიეს, რომ იაპონელთა უბანში და ნაპირზე საჩქაროდ იკრიბებოდა იაპონიის ჯარი. ამ ჯარმა ნაღმიან გემებს სროლა დაუწყო, მაგრამ როდესაც გემებიდან ყუმბარები დაუშინეს, ჯარი წავიდა. ნაღმიანმა გემებმა ყუმბარებით ცეცხლი წაუკიდეს ყაზარმებს. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია“. 2. „18 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 20 წუთზე, კრეისერთა რაზმი, ადმირალის ბეზობრაზოვის უფროსობით, კორეის სრუტეს გავლის შემდეგ, შეჰხვდა იაპონიის 7 დიდ გემს; როგორცა სჩანდა, 4 ჯავშნიანი კრეისერი იყო, 3 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 1 თუ 2 ნაღმიანი გემი. ჩვენი რაზმი მაშინვე მოტრიალდა და უკან დაბრუნდა. იაპონელნი დაგვედევნენ და სროლა დაგვიწყეს, მაგრამ დიდ მანძილის გამო (14 ვერსამდე), უნაყოფოდ. ჩვენ გემებს პასუხი არ გაუციათ. საღამოს 8 საათზე წინადან ჩვენ გემებზე იერიში მოიტანა 11 ნაღმიანმა გემმა. ამ იერიშმაც უნაყოფოდ ჩაიარა. ადმირალი ბეზობრაზოვი ჰფიქრობს, რომ ჩვენის ზარბაზნების ყუმბარებს ორი ნაღმიანი გემი უნდა ჩაეძიროთ. მეორე დღეს მტერი აღარსადა სჩანდა. ჩვენ რაზმს ზარალი არ მოჰსვლია“. 3. „21 ივნისს, ლეიტენანტის ქერვეს უფროსობით, ვლადივოსტოკში მოვიდა ჩვენის კრეისერების მიერ იაპონიის ზღვაში შეპყრობილი გემი „ჩელტენჰემ“-ი 6,000 ტონისა, რომელიც ოტარიდან ფუზანში მიდიოდა. ამ გემს შპალები და ხე-ტყე მიჰქონდა სეულ-ფუზანის რკინის გზისათვის“.

25 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 23 ივნისს: „21 ივნისს მტერმა განიზრახა სამხრეთის ფრონტზე ჩვენ სადარაჯო რაზმების უკუგდება, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. რადგან იაპონელებმა დასტოვეს სოფლები ვაფანგოუ და პოტაიძი და მათმა მოწინავე რაზმებმა მდინარე სენიოკოხეს მარცხენა ნაპირისაკენ დაიხიეს, ჩვენ 21 ივნისს დავზვერეთ სენიუჩენის მხარეზე მდებარე ადგილები. დილის 9 საათზე აღმოაჩინეს მტრის ცხენოსან და ქვეითა ჯარის პატარა მოწინავე რაზმები 2 ტყვიის-მტყორცნელით სოფ. ვნაცინპუსის, იანცანიატუნის და ბაცაძის ახლოს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სროლა აუტეხა იაპონელებს, შემოუარა იმათ მარცხენა ფრთეს და აიძულა, ხოუშიჩანის სიმაღლისაკენ დაწეულიყვნენ, სენიუჩენიდან 4 ვერსის მანძილზე. ჩვენმა ბატარეამ სროლა აუტეხა მტრის ცხენოსან ჯარს, რომელიც სიმაღლეზე იკრიბებოდა. ისე მარჯვედ ესროდა, რომ იაპონელებმა უკან დაიწიეს სენიუჩენისკენ, თან წაიყვანეს თავისი დაჭრილები და ცხენები და წაიღეს იარაღი. ჩვენმა კამანდამ დაიჭირა რკინის გზის სადგური, უფრო შორს წასვლა-კი ვერ მოახერხა, რადგან ქალაქ სენიუჩენის კედლები ეჭირა იაპონელთა ქვეითა ჯარს და სამთო არტილლერიას; ეჭირა აგრეთვე სიმაღლეები სენიუჩენის აღმოსავლეთით, 5 ვერსის მანძილზე. ამავე დროს მტერმა მდინარე სენიოკოხეს ნაპირიდან სროლა აუტეხა ველის ზარბაზნებით ჩვენგან დაჭერილ სადგურს და ხოუშიჩანის სიმაღლეებს. დაზვერამ აღმოაჩინა მდინარე სენიოკოხეს მარცხენა ნაპირებზე მტრის დიდი ჯარი და მოწინავე რაზმები სენიუჩენში და სიმაღლეებზე ამ ქალაქის აღმოსავლეთით, მათ რიცხვში ცხენოსან ჯარის 6 ესკადრონიც ტყვიის-მტყორცნელებით. ჩვენი ზარალი: ერთი სალდათი მოგვიკლეს, ორი დაგვიჭრეს და ორი კვალ-წმინდად დაიკარგა. მტერს ჩვენზე ბევრად დიდი ზარალი ჰქონდა. ორი იაპონელი დრაგუნი მე-4 პოლკისა ტყვედ წავიყვანეთ. სიადიანში მტრის სადარაჯო რაზმებს უჭირავთ უღელტეხილის სამხრეთი ფერდობი და სოფელი შანძუი, სიადიანიდან 6 მილის მანძილზე. იაპონელებს უჭირავთ აგრეთვე სიფანტაი და სიმაღლეები პოტაიძის სამხრეთით. ერთმა ჩვენმა მზვერავმა რაზმმა 22 ივნისს მიაღწია მთებში სოფელ შატუძიატუნს, სენიუჩენიდან 26 ვერსის მანძილზე, გაჰფანტა იქ იაპონელთა მზვერავი რაზმი და ხელთ ჩაიგდო ცხენები, იარაღი და სურსათი. დაზვერამ აღმოაჩინა, რომ მტერს სადარაჯო რაზმები უდგას მთებში, რკინის გზის აღმოსავლეთით პოტაიძიდან შიხაიუზამდის. იაპონელებმა დასტოვეს ტამიარლგოუ და მადიავაიზა სიახოტანისკენ მიმავალ გზაზე. ჩაპანლინის უღელტეხილი მტრის პატარა რაზმს უჭირავს. 21 ივნისს ჩვენ უკუვაგდეთ მტრის მოწინავე რაზმი ლიუტიატატირლიდან; რაზმმა საჩქაროდ უიდალინის უღელტეხილისაკენ დაიწია, რომლის დასაზვერავად ჩვენი ჯარის ერთი ნაწილი გაიგზავნა. გაგზავნილი ჯარი შეხვდა იაპონელთა როტებს, რომელთაც ჩვენთვის გზის მოჭრა უნდოდათ, მაგრამ ამ დროს ჩვენი მაშველი ცხენოსანი ჯარი გამოჩნდა, სროლა აუტეხა და გააჩერა მტერი. ამავე დროს შევიტყეთ, რომ მტერს პოზიციებზე ჰყავდა ერთ პოლკზე მეტი ქვეითა ჯარი, ერთი პოლკი კავალერია, 4 ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიის-მტყორცნელი. დაზვერის დროს დაგვიჭრეს 7 სალდათი. სიმუჩენისა და დალინის უღელტეხილის შუა იაპონელთ გზა აქვთ დაჭერილი სადარაჯო რაზმებით ლანაფანიდან სუნტოძეგანაგოუმდე. იაპონელთა მოწინავე რაზმები აღმოჩნდნენ აგრეთვე პხანლინის სამხრეთით, 6 ვერსის სიშორეზე; ჩრდილოეთისაკენ მიიწევიან, ჯარი აღმოჩნდა კიდევ სოფლებ ნამაიუს, მანიხეს, სემაგიუს, სანდემსა და ადლოტუნში. 20 ივნისს, ღამე, სამმა ჩვენმა ჯარის-კაცმა, რომელნიც ფეხით წავიდნენ სანდელიუსაკენ, აღმოაჩინეს იაპონელთა დაბანაკებული ჯარი, შემდგარი ერთის ბატალიონისა და ერთის ესკადრონისაგან; ბანაკში გაიგეს ჩვენის მზვერავების მიახლოვება და ასტეხეს სროლა; ჩვენებმა ისარგებლეს მარჯვე შემთხვევით და, რადგან ამასთანავე ბნელი ღამე იყო, მიიმალნენ. 20 ივნისს ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა გაიარეს პხანძიანუძისთან, სადაც იაპონელთა დარაჯები იდგნენ; დარაჯებმა სროლა აუტეხეს და ჩვენი რაზმი უკანვე დააბრუნეს; უკან დაბრუნებისას ნამაიუსთან, სადაც ხშირი ბურუსი იდგა, რაზმს შემო-

ერტყა მტრის ერთი ბატალიონი. რაზმის გაჭირვებიდან გამოსახსნელად გაიგზავნა მიმშველი რაზმები, რომელთა შემწეობითაც ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა თავს უშველეს, მხოლოდ პოდპორუჩიკი ბულიგა და 27 სალდათი ვერ წამოვიდნენ და მტერს დარჩნენ. გარდა ამისა დაგვიჭრეს პორუჩიკი კნიპერი და ერთი ყაზახი. 21 ივნისს იაპონელებმა განიზრახეს ტხაკუანზე იერიშის მიტანა, მაგრამ ჩვენის ქვეითა ჯარის სროლამ უკან დააწევინა. 22 ივნისს ყაზახთა სოტნამ ადლიუტუნთან, გხაზელინიდან სამხრეთით, 13 ვერსის მანძილზე, შეაჩერა იაპონელთა ორის ესკადრონის წინსვლა. ამათ სწრაფლ დაიწიეს და სამხეთისაკენ წავიდნენ. ჩვენი ზარალი—ერთი ყაზახი მოგვიკლეს. 22 ივნისს ჩუდიაპუზასთან (გხავუანას სამხრეთით, 4 ვერსის მანძილზე) სროლა ასტყდა ჩვენ რაზმსა და იაპონელებს შორის, რომლის დროსაც მოგვიკლეს პოდპორუჩიკი ივაშკინი. როგორც მცხოვრებნი ამბობენ, გახავუასთან, 21 ივნისს, ღამე, მომხდარ ბრძოლაში იაპონელებს მოკლული და დაჭრილი აღმოაჩნდათ 700 კაცამდე. 22 ივნისს იაპონელთა მოწინავე რაზმები საიმაძიდან 10 ვერსით მიუახლოვდნენ სიაოსირს. ამას გარდა იაპონელთა ორი როტა და ერთი ესკადრონი, ფანძიაპუმიდან მომავალნი, მდინარე გაიძიხეს ხეობაში გავიდნენ. ეს ადგილი მდებარეობს მუკდენიდან 50 ვერსზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ასტყდა სროლა. შემდეგ ჩვენი პატარა რაზმი, რომელსაც ერთი ყაზახი დაუჭრეს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა. სიხოიანი იაპონელებს არ დაუჭერიათ, მაგრამ იმათი მოდარაჯე რაზმები ახლო სდგანან. მოდარაჯე რაზმები არიან აგრეთვე იუშალინის უღელტეხილის სამხრეთით, 12 ვერსის მანძილზე. მთავარი ჯარი იაპონელებისა დარჩა ფენშუილინის უღელტეხილზე. გუშინ, 22 ივნისს, და დღეს დაშიჩაოს მიდამოებში წვიმა არ მოსულა. მეტად ცხელი ამინდებია“.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). 22 ივნისს კრესერი „კაიმონი“ ტალიენვანის ბუხტაში წააწყდა ნაღმს და ჩაიძირა.

მუკდენი. ამ უკანასკნელ დღეებში იმ ადგილებში, სადაც ომია, ცვლილება არ მომხდარა. როგორცა სჩანს, წვიმიანი დღეები გათავდა. ხმა დადის, რომ მუკდენის პროვინციაში ბოქსერთა მოძრაობა იწყებაო.

ანტვერპენი. ვლადივოსტოკის ესკადრამ ჩასძირა იაპონიის სატრანსპორტო გემები „ოცუმარუ“ და „ფუზენმარუ“. ამ სავაჭრო გემებს კობედან ჩემულპოში სამხედრო კონტრაბანდა მიჰქონდათ თურმე.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: ლიაოიანის პირდაპირ, რკინის გზის გასწვრივ, რუსებმა შოხუნის სიმაღლეები გაამაგრეს, ზედ სანგრები და ფორტები გამართეს ხუთ რიგად, დიდი ზარბაზნები დადგეს და წინ ეკლიანი მავთული გააბესო.

მანჯურიაში რამდენსამე ადგილსა ჰქვიან ფინშუილინი. იაპონელები დალინის უღელტეხილსაც ფინშუილინს ეძახიან. დალინისა ანუ ფინშუილინის უღელტეხილი (ხაიჩენის გზაზე, ხაიჩენიდან 37 კილომეტრის მანძილზეა), როგორც ვიცით, იაპონელებმა 13—14 ივნისს დაიჭირეს მედგარის ბრძოლის შემდეგ. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: დალინის უღელ-ტეხილს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეტყობა, იაპონელებს დაშიცაოს დაჭერა და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულიდან რუსების განდევნა სწადიანთ. დაშიცაო რომ დაიჭირონ, მაშინ რუსები ძალა უნებურად ნიუჩუანსაც დასცლიან. თუ ეს განზრახვა შეუსრულდათ, მაშინ იაპონელები უმთავრეს ყურადღებას პორტ-არტურს მიაქცევენ და წვიმების პერიოდის დასრულებამდე გენ. კუროპატკინის უმთავრეს ჯარს აღარ დაეცემიან და ჩრდილოეთისაკენ აღარ გაილაშქრებენო. („რ.“).

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს: პორტ-არტურის ჩრდილოეთით რუსები დიდ თხრილსა ჰთხრიან, სიგძით 81 მილსა, სიგანით 10 ფუტსა და სიღრმით 10 ფუტსა. თხრილს ორსავ მხარეს ეკლიანი მავთულია გაბმული. („რ. ლ.“).

10 ივნისს აქეთ მანჯურიაში საშინლად წვიმს. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს: „12 ივნისს დიდი წვიმა მოვიდა სამხრეთ-მანჯურიაში და რკინის გზა წაახდინა. ჯარის-კაცები მთელი ღამე ყელამდე წყალში იდგნენ და რკინის გზის ლიანდაგს აკეთებდნენ. 15 ივნისს უფრო საშინელმა წვიმამ დაასხა და რუსის ჯარის ლაგერები ყველგან წყლით გაავსო. სალდათები ძლივს გამოდიოდნენ კარვებიდან. ყველგან თავზარდამცემი კივილი გაისმოდა: „არიქა, თავს უშველეთო“. უცებ ისეთი საშინელი ნიაღვარი მოვარდა, რომ ცხენების საბმურები, ჯარის ბივუაკები, „წითელ ჯვრის“ ურმები და საავადმყოფოს კარვები სულ მოიტაცა. მოწყალების დები სალდათებს ხელით გამოჰყავდათ ნიაღვრის ნაკადულიდან. ყაზახები და სანიტარები წყალში მოტაცებულ ნივთებს იჭერდნენ. ნიაღვარი ცხენებსაც იტაცებდა და ქვებს აჯახებდა. მძიმედ დაჭრილები საკაცით გამოჰქონდათ კარვებიდან. დაჭრილი სალდათები, როგორც იყო, გადაარჩინეს. კარვები რუმბებივით გაივსო წყლით. კარვებს ხმლითა სჭრიდნენ, რომ ხალხი გამოსულიყო. სალდათები წყალში დადიოდნენ და ყველგან დამხრჩვალ ცხენებსა და ხარებს აწყდებოდნენ ზედა. სოფ. ტანჩაში მოედანზე ნიაღვარმა 16 ცხენი დაახრჩო და ერთი ორასის წლის ხიდი დაანგრია. ერთ პოლკში ფულის ზანდუკი მოიტაცა; დარაჯი ჯარის-კაცი თოფით ხელში გამოუდგა ზანდუკს; დარაჯიცა და ზანდუკიც ხიდს დააჯახა. ძლივს გადაარჩინეს. სალდათებმა ტანისამოსი დაიხადეს და წყალ-წყალ წავიდნენ. ზოგი მაღლა გორებზე ავიდა და იქიდან ჰხედავდა, რომ ნიაღვარი ყველგან კარვებს, ურმებს და მკვდრებს იტაცებდა. სალდათები 3 ვერსის გავლას სრულ ოთხ საათს მოუნდნენ. ბევრი ძვირფასი ნივთი დაიღუპა. ნაშეს ნიჩბებით ჰოხრიდნენ და ნივთებს ეძებდნენ. ჯერ-ჯერობით 12 კაცი მოიკითხეს, არ იციან, რა მოუვიდათ. ჩინელებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ; ბევრი სახლი და მამა-პაპის სამარხი წაულეკათ ნიაღვარმა.“

ლიაოიანში ყველაფერი გაძვირდა: 1 ფუთი ფშვრია 3 მან. იყიდება, თივა სულ არ იშოვება ბაზარში, 1 გირვანქა შავი პური 15 კაპ. იყიდება, 1 გირვ. ვიტჩინა დაბალ ხარისხისა—1 მან. 50 კ., 1 გირვ. მოხარშული კალბასი—1 მ. 50 კ. („ბ. ვ.“).

გერმანული გაზ. „მორგენ პოსტ“-ი იუწყება, ჩინეთის დედოფალმა, თავის დაბადების დღესასწაულისა გამო, ყველა დასჯილ რეფორმატორს აპატია, უკიდურეს პარტიის მეთაურ კანიუვეის გარდა. ამბობენ, დედოფალმა ეს ამნისტია იაპონელების რჩევით გამოსცაო. („რ. ვ.“).

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი პორტ-არტურთან. რუსეთსა თუ საზღვარ-გარედ ბევრნი ფიქრობენ, ვითომ ამ ჟამად რუსეთის ფლოტი პორტ-არტურთან ჰევრით აღარ დაუვარდება იაპონიის ფლოტსაო. ამის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ვ. მ. სწერს: „კონტრ-ადმირალ ფიტცგეფტის მოხსენებიდან სჩანს, რომ ადმირალ ტოგოს 10 ივნისს პორტ-არტურთან ჰყავდა: 4 ჯავშნიანი გემი პირველ რანგისა, 1 ჯავშნიანი გემი მეორე რანგისა, 4 დიდი ჯავშნიანი კრეისერი, 7 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი მეორე რანგისა, 5 კრეისერი მესამე რანგისა, 1 ავიზო (პატარა პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი), 1 მაშველი გემი და 30 ნაღმიანი გემი; სულ 53 გემი. ტოგოს დიდ გემებს მხოლოდ დაღუპული „ხაცუზე“ და დაზიანებული „იაშიმა“ აკლდა. ეტყობა, „იაშიმა“ ერთ თვეს ვერ შეუკეთებიათ; დანარჩენი უზარმაზარი ჯავშნიანი გემები „მიკაზა“, „ასაჰი“, „შიკიშიმა“ და „ფუჯი“-კი პორტ-არტურთან ჰყოლია ტოგოს. 8 ჯავშნიან კრეისერიდან ადმირალ ტოგოს 10 ივნისს 4 კრეისერი ჰყოლია; დანარჩენი 4 კრეისერი კი, ალბად, ადმირალ კამიმურასა ჰყავს იაპონიის ზღვაში. ძნელი გასაგებია, მეორე რანგის საესკადრო ჯავშნიანი გემი საიდან გაიჩინა ადმირალმა ტოგომ? („ნიშინ“-სა და „კასუგა“-ს რუსის ადმირალები პირველ რანგის ჯავშნიან კრეისერებად სთვლიან). თუმცა იაპონელებს ჰყავთ მეორე რანგის საესკადრო ჯავშნიანი გემი „შინიენ“-ი, მაგრამ ეს გემი მეტად ძველია—22 წლისაა—და ბრძოლისათვის თითქმის აღარ გამოდგება: მე-80 წლების ძველი ზარბაზნები აქვს, იმის ჯავშანს 6 დიუმიანი ყუმბარაც ადვილად გაატანს; ამას გარდა, ეს გემი მეტად ნელა დადის: $14^1/_2$ მილს გადის საათში. ასე რომ ეს „ძველი ზანდუკი“ მარტო ხელს შეუშლიდა იაპონიის მსწრაფლ-მავალ ესკადრას: საშუალოდ $18^1/_4$ მილს გადის საათში. იაპონიის ფლოტი, სხვათა შორის, სისწრაფითაც სჯობნის პორტ-არტურის ესკადრას (მაგალითად „პოლტავა“ $16^1/_4$ მილს გადის საათში), ამიტომ არა გვგონია, რომ ადმირალ ტოგოს „შინიენი“ პორტ-არტურთან ჰყოლოდეს, რადგან ეს ძველი ნელა-მავალი გემი ხათაბალად გაუხდებოდა. იქნება 10 ივნისს პორტ-არტურთან რესპუბლიკა ჩილის ჯავშნიანი გემი „კაპიტანო პრატ“-ი ჰყავდა ტოგოს? უცხოეთის გაზეთები დიდი ხანია ლაპარაკობენ, იაპონიამ სამი სამხედრო გემი „კაპიტანო პრატ“-ი, „შაკაბუკო“ და „ადმირალ კონდელი“ იყიდა ჩილისაგანაო. იქნება ეს ცნობები მართალი იყვეს; ეს გემები ჩილის მთავრობამ ამერიკელ ფირმას ფლინტსა და ამხანაგობას მიჰყიდა და მერე ამ ფირმამ

ფელეტონი

დროებით ვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვის შესახებ

III*)

როგორც პირველ წერილში აღვნიშნეთ, ტფილისის კომიტეტმა ის აზრი გამოთქვა, რომ „საჭიროა გადიდებულ იქმნას ნადელების გამოსასყიდად მთავრობისაგან ასადებ სესხის ნორმა, თანახმად მიწის გადიდებულ ღირებულობისა“ (Труды, ტ. 52, გვ. 461). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტფილისის კომიტეტმა მიწის ეხლანდელ საბაზრო ფასების კვალობაზე მოითხოვა ნადელების შეფასება და ამ შეფასების მიხედვით მემამულეთა დაკმაყოფილება. იმერეთის თავადები ამასაც არ დაკმაყოფილდნენ. იმათ მოითხოვეს, რომ „სანადელო მიწების გამოსასყიდად დაფასების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა იმ სარგებლობით, რომელსაც მიწა დღეს იძლევა, არამედ იმ შემოსავლით, რომლის მოცემა მას შეუძლია, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოდ მიწის სიმცირეს და ჰავის პირობებსო“ (იქვე, გვ. 249). აქ მემამულენი მიწის მოსალოდნელ მოსავალსაც კი არ ივიწყებენ. ასეთი შეფასება მიაჩნიათ მათ „სამართლიანად“. ამგვარ საფუძველზე მოხდენილი ნადელების გამოსყიდვაო,—ამბობენ ისინი,—შეთანხმებული იქნება მთელი გუბერნიის მცხოვრებთა საჭიროებასთან და არავისაც არ აზარალებსო.

ჩვენ ვნახეთ, რომ ასეთი შეფასება „სამართლიანობის“ ნატამალსაც არ შეიცავს და „მთელი გუბერნიის მცხოვრებთა ნამდვილ საჭიროებასთან ისე შეთანხმებული“, რომ, თუ იგი მართლა სახელმძღვანელოდ იქმნა მიღებული, გამოიწვევს „განთავისუფლებულ“ გლეხთა სრულს გადატაკებასა და გაპროლეტარებას. მამულების დიდი ფასები დღეს ჩვენში სრულიადაც არ არის მიწის ნაყოფიერობასა და მოსავლიანობაზე დაფუძნებული. იგი გამოწვეულია ხალხის გამრავლებით და საერთო ეკონომიურ ცხოვრების პირობებით ცხადია, არა თუ „სამართლიანობის“ პრინციპით, არამედ უბრალო საეკონომიო „ანგარიშის“ მიხედვითაც-კი არ შეიძლება მიწის დღევანდელი საბაზრო ფასები მიღებულ იქმნეს სანადელო მიწების შეფასების საფუძვლად და გლეხებისაგან გადასახდელ ფულის რაოდენობის მაჩვენებლად.

დავხედოთ ეხლა,—იქნება, ასეთ საფუძვლად შესაძლებელია მიღებულ იქმნეს ის შემოსავალი, რომელსაც აძლევს დღეს მემამულეს თავისუფალი ე. ი. არა სანადელო მიწა. უეჭველია, რახან ნადელების გამოსყიდვის თაობაზე ბჭობა და თათბირი გაიმართა, ბევრი მემამულე მადაზე მოვიდა და ამიტომ მოისურვებს, ნადელში, თუ არ საბაზრო ფასი, ისეთი სასყიდელი მაინც მიიღოს, რომელიც გამოთვლილი იქნება მიწის ეხლანდელ შემოსავლის ე. ი. რენტის კვალობაზე. საღალოდ გადებულ სახნავ მიწაში მე ვიღებ—იტყვის არა ერთი და ორი მემამულე—მოსავლის მესამედს და ზოგან ნახევარს. მაშასადამე, თითო დესეტინა სანადელო მიწაში ისეთი ფასი უნდა მომეცეს, რომელიც წლიურად ეხლანდელ მოსავლის მესამედ სარგებელს მაძლევდესო.

მართალია, მიწის შესაფასებლად ჩვეულებრივ რენტით ხელმძღვანელობენ და მიწის ფასს რენტის რაოდენობის კვალობაზე ანგარიშობენ. მაგრამ საქმე ისაა, თუ ვინ რას სთვლის „რენტად“. დასავლეთ ევროპაში კაპიტალის პატრონი მოიჯარადრე იღებს მიწას მემამულისაგან. ამ მიწაზე იგი მეურნეობას აწარმოებს მაშინებით და დაქირავებულ მუშებით. წარმოების წმინდა მოგებას იგი იყოფს მემამულესთან. მემამულის წილი არის „რენტა“, ხოლო ის, რაც მოიჯარადრეს რჩება, „კაპიტალისტის მოგებაა“. აქ კაპიტალის პატრონი მოიჯარადრე მოგების გულისთვის ეწევა წარმოებას. თუ მოგება არ დაურჩა, რასაკვირველია, ტყვილა-უბრალოდ შრომას არ გასწევს და წარმოებაში კაპიტალს არ დააბანდებს. ამიტომ აქ მემამულე წარმოების მთელს მოგებას ვერ დაეპატრონება და თავისთვის „რენტად“ ვერ წაიღებს.

სულ სხვა ვითარებას ვხედავთ ჩვენში. აქ მიწის დასამუშავებლად აძლებნი არიან არა კაპიტალის პატრონი და მოგების გულისთვის მწარმოებელი მოიჯარადრენი, არამედ უფულო და თავის გამოსაკვებად მომუშავე გლეხები. დღეს ჩვენში ისეთი ეკონომიური პირობებია, რომ გლეხი იძულებულია მიწა იმუშაოს მაშინაც-კი, როცა ეს მისთვის პირდაპირ საზარალოა. საზოგადოდ ჩვენს გლეხობაში მიწის დიდი სიმცირეა. ვაჭრობა და მრეწველობა ჩვენში ჯერ კიდევ განუვითარებელია და, მაშასადამე, უმამულო ხალხისთვის ამ დარგებში ადგილის შოვნა და საზრდოს მოპოვება გაძნელებულია. შინა-მრეწველობა სრულიად დაცემულია და ამიტომ გლეხის ოჯახს შინაურ სამრეწველო წარმოებითაც არ შეეძლია შემოსავლის გადიდება. სახელმწიფო მიწებს ჩვენს გლეხებს არ აძლევენ, რომ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებიდან ზედმეტი ხალხი გადავიდეს დასაბინავებლად და მეურნეობის მოსაწყობად. ჩვენებური სამეურნეო წარმოების ტეხნიკა ძველი და უბრალოა და, მაშასადამე ჩვენი გლეხი ისე მცირე მიწით ვერ მოახერხებს, თავის გამოკვებას, როგორც სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც ტეხნიკა განვითარებულია და ამიტომ მიწაც მეტ მოსავალს იძლევა. ხოლო ამავე დროს ხალხი შეუჩერებლივ მრავლდება. ცხადია, ასეთ გარემოებაში დიდდება მიწის მოთხოვნილება. იშვიათი გლეხები ახერხებენ მემამულეთაგან საკმაო მიწის ყიდვას და შესაკუთრებად გახდომას. დიდძალი უმრავლესობა, რომელსაც არა აქვს საყოფი არც საკუთარი და არც სანადელო მიწა, მარტო მემამულეების საიჯაროდ ანუ საღალოდ გასაცემ მიწებზეა მიჩერებული. მაგალითად, ჯერ კიდევ იმ დროს (18 წლის წინად), როცა მოახდინეს სახაზინო გლეხების ყოფა-მდგომარეობის გამოკვლევა, ამ კატეგორიის გლეხებს აღებული ჰქონდათ იჯარით კერძო მემამულეთაგან ტფილისის გუბერნიაშ 49611 დესტ. მიწა (იხ. Сборн. статист. дан. о землевлад. и т. д., გვ. 10). ეს რაოდენობა მას შემდეგ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გადიდდა. „გლეხების უმრავლესობა,—სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში,—ყოველ წლივ იღებს იჯარით სახაზინო ანუ კერძო მემამულეთ მიწებს. მაგალითად, შორაპნის მაზრაში 5766 დროებით ვალდებულ გლეხთაგან 64% იღებს საღალოდ მიწას, საშუალო რიცხვით კომლზ 1,5 დესეტინას; ასევე საღალოდ აღებულ მიწ ბით სარგებლობს 9117 მესაკუთრე გლეხის 60% და 5528 სახაზინო გლეხის 63%. სხვა მაზრების შესახებ საიმედო ცნობები არა გვაქ მაგრამ თუ იმ ცნობებით ვიხელმძღვანელებ რომლებიც კომიტეტს ხელთ აქვს, შეგვიძ ვთქვათ, რომ საიჯაროდ აღებულ მიწების რა დენობა და მიწის მოთხოვნილება ყველგან ერ ნაირად დიდია“ (Труды, გვ. 230).

მიწის მოთხოვნილების გადიდება იწვევს თა ვის მხრით საიჯარო ფასის გადიდებასაც. ე არის არა მარტო თეორიული დასკვნა,—ეს მტკიცდება რეალურ ფაქტებითაც. „მემამულ შემოსავლის ერთად-ერთი წყარო მისი მამულია და სხვა არაფერი. რამდენადაც ცხოვრება რთულ ხდება და მოთხოვნილება მრავლდება, იმდ ნადვე იგი, რა თქმა უნდა, ცდილობს თავის შ მოსავლის გადიდებას. ხოლო რახან თვითონ აწარმოებს და საკუთარ მეურნეობას არ ეწევ იძულებულია,—ისევ საიჯარო ფასს დაუწევ მიწის ღალა მეტი გახადოს. როცა შემ ადარ ჰყოფნის, არ უკმაყოფილებს მოთხოვნი ლებას, მიწის პატრონი აგირავებს ბანკში მამულ იღებს ვალს, რომლის სარგებელი ისევ მამულ ანუ უკეთ, მიწის ნამდვილ მუშას აწვება გა სახდელად. ერთის მხრით გლეხთა მიწათ-მფლ ბელობის სიმცირე, ხალხის გამრავლება, გა სახლებისა ანუ შინაურ კოლონიზაციის მოუწ ბლობა და, მაშასადამე, მიწის მოთხოვნილებ გადიდება, მეორე მხრით—საერთო ცხოვრებ

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2529.

თავის მხრივ იაპონიის მთავრობას გადასცა მოგებით. „კაპიტანი პრატ“-ი საფრანგეთშია აშენებული 1891 წელს და ყველაფრით ჯობია „შინიენს“: საათში 18,3 მილს გადის, კარგი სქელი ჯავშანი აქვს და კარგადაა შეიარაღებული. ადმირალ ტოგოს 10 ივნისს 7 მეორე რანგის კრეისერი ჰყავდა; „იოშინოს“ დაღუპვის შემდეგ კი სულ 6 გემი უნდა დარჩენოდა ამ რანგისა. ალბად, მეშვიდე კრეისერი ჩილისაგან ნაყიდი კრეისერი „შაკაბუკო“ იყო. „შაკაბუკო“ ძლიერა ჰგავს „იოშინოს“, მხოლოდ უფრო სწრაფად დადის (საათში 24 მილს გადის) და უფრო ძლიერადაა შეიარაღებული. ასე რომ 10 ივნისს კონტრ-ადმირალმა ვიტგეფტმა თითქმის ნამდვილად შეიტყო, რომ ადმირალ ტოგოს შემდეგი გემები ჰყავს:

1. ოთხი პირველ რანგის საესკადრო ჯავშნიან გემი („მიკაზა“, „ასაჰი“, „შიკიშიმა“ და „ფუჯი“) 68 დიდის ზარბაზნით.

1. ერთი მეორე რანგის ჯავშნიანი გემი (ჩილისაგან ნაყიდი „კაპ. პრატი“) 14 დიდის ზარბაზნით.

3. ოთხი დიდი ჯავშნიანი კრეისერი პირველ რანგისა (ალბად „ივატე“, „აძუმა„, „იაკუმო“ და „ნიშინ“) 68 დიდის ზარბაზნით.

4. შვიდი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი მეორე რანგისა („კასაგი“, „შიტოზე“, ტაკასაგო“, „მასუშიმა“, „იცუკუშიმა“ „ჰაშიდატე“ და ჩილისაგან ნიყიდი „შაკაბუკო“) 84 დიდის ზარბაზნით.

5. პატარა ჯავშნიანი კრეისერი „შიოდა“ 10 დიდის ზარბაზნით.

6. ხუთი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი მესამე რანგისა („ნანივა“, „აკიცუშიმა“, „სუმა“, „აკაში“, „იეიამა“) 37 დიდის ზარბაზნით.

მაშ ადმირალ ტოგოს სულ 22 მებრძოლი გემი ჰყავს 281 დიდის ზარბაზნით. კონტრ-ადმირალ ვიტგეფტს-კი მხოლოდ 11 მებრძოლი გემი ჰყავს 138 დიდის ზარბაზნით. ასე რომ იაპონიის ესკადრა 10 ივნისს ერთი ორად ძლიერი იყო რუსის ესკადრაზე. დიდ გემებს გარდა იაპონელ ადმირალს 30 ნალმიანი გემი ჰყავდა, რუსის ადმირალს-კი მხოლოდ 10. ამიტომ რუსის ადმირალმა, დიდის ზარალის შიშით, გაშლილ ზღვაში ბრძოლა ვერ გაბედა ადმ. ტოგოსთან და პორტ-არტურში დაბრუნდა“.

განდ ბ-ნი ვ. მ. სცდებოდეს და იაპონიას ჩილისაგან გემები „კაპ. პრატ“-ი, „შაკაბუკო“ და „ადმირალ კონდელ“-იც არ ეყიდნოს, მაინც იაპონიის ფლოტი ძლიერია რუსისაზე.

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი. გუშინ-წინ ვწერდით დიპლომატიურ მოლაპარაკებასა და ლონდონის კონფერენციაზე ოსმალეთის სომხების შესახებ. სანამ ამ გზით საკითხს გამოარკვევენ და სომხების პროვინციებში რეფორმებს შემოიღებენ, კიდევ ბევრი დრო გავლის. ეს კარგად იციან ევროპაში, ამიტომ საჭიროდ უცვნიათ დროებით ზომების მიღება და ბითლისის ვილაიეტში საქმეთა მოწესრიგება. როგორც სჩანს, ოსმალეთის ჯარებსა და ქურთებს სომხებისათვის დიდი ზარალი მიუყენებიათ. ამოუჟლეტიათ დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით ბავშვები და ქალები, გაუძარცვავთ და გაუნადგურებიათ რამდენიმე ქალაქი და სოფელი. ინგლისს, რუსეთსა და საფრანგეთს ენერგიული წინადადება წარუდგენიათ პორტისათვის ბითლისში წესიერების აღდგენის შესახებ და, როგორც ეხლა იუწყებიან პორტას აუსრულებია წინადადება. ბითლისის ვილაიეტში არსებული უცხოელი საკონსულოები იტყობინებიან, აქ ყველგან მშვიდობიანობა დამყარდაო. პორტამ ამასთანავე აღუთქვა შემდეგი ღონისძიებანი: 1) პატივება ყველა მეამბოხეებს, გარდა მეთაურებისა; 2) სომხების ბინების აღსადგენად ოსმალეთის მთავრობა იძლევა 42.500 მანათს; 3) სომხებს ნება ეძლევათ ისევ დასახლდნენ მთებში; 4) დამშეულ სომხებს სანოვაგე დაურიგდებათ. პორტამ ღონისძიება მიიღო ადგილობრივ ადმინისტრაციისა და ქურთების ასალაგმავად, ამასთანავე ოფიციალურად აცხადებს, ევროპის გაზეთებშა გააზვიადეს სომხების ზარალი და ამოჟლეტილთა რაოდენობაო. ნამდვილ ამბების გაგება ძალიან ძნელია, რადგან ადგილობრივი სომხები დაშინებულნი არიან და სიმართლის გამომჟღავნებას ვერ ბედავენ

საფრანგეთი. ცნობილ კაპიტალისტებმა როტშილდებმა ამას წინად გამოუცხადეს მთავრობას, განზრახვა გვაქვს 10 მილიონი ფრანკი შევწიროთ მუშათათვის სადგომების ასაგებადაო. ეხლა გაზეთები იტყობინებიან, რომ ეს ფული უკვე წარუდგინეს როტშილდებმა მთავრობას და გადაწყვეტილია აშენდეს სახლები, რომლებშიაც ცალ-ცალკე სადგომები იქნება საუკეთესოდ მოწყობილი როგორც ოჯახის-პატრონ მუშებისა, ისე უცოლშვილოთათვის. ამ სადგომებს სულ მცირე ქირით დაუთმობენ მუშებს; ხოლო რაც შემოსავალი იქნება ამ ქირებიდან, სულ ისევ მუშათა სხვა-და-სხვა დაწესებულებას მოხმარდება.

ახალი ამბავი

◆ 24 ივნისს ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა საგუბერნიო სასანიტარო კომისიისა **ხოლერის საწინააღმდეგო** ღონისძიებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. მკითხველებმა უკვე იციან, რომ გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, სამაზრო სასანიტარო კომისიებმა მოქმედება განაახლონ. კომისიები უნდა შეუდგნენ დაბებისა და სოფლების დასუფთავებას. ამას გარდა თავის დროს სოფლებსა და დაბებში უნდა გაკეთდეს სახლები ავადმყოფთათვის და სხვ. რაც შეეხება ტფილისს, კომისიამ აღნიშნა ტფილისის ანტისანიტარული მდგომარეობა და გამოსთქვა სურვილი, თვითმმართველობა ახლავე შეუდგეს ქალაქის დასუფთავებას. კომისიის აზრით, ქუჩები ჯერ-ჯერობით შეიძლება ირწყვოდეს მტკვრის წყლით. შემდეგში დროსა და გარემოების მიხედვით ქუჩები უსათუოდ უნდა მოირწყოს მილის წყლით. სასანიტარო კომისიამ უნდა დაათვალიეროს უბნები, ქარვასლები, კერძო სახლები და წინადადება მისცეს მცხოვრებთ, დაიცვან მეტი სისუფთავე. ყველა, ვინც წესს დაარღვევს, სასტიკად დაისჯება. კომისიამ საჭიროდ სცნო აგრეთვე, რომ სპარსეთიდან მოტანილი საქონელი დაწვრილებით გასინჯონ და დეზინფექცია უყონ ხოლმე.

◆ **სპარსეთში ხოლერის** გაჩენის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედაც შეუდგნენ სასანიტარო ზომების მიღებას. რკინის გზაზე უკვე არსებობს სასანიტარო კომისიები. გზის უფროსმა ეხლა განკარგულება მოახდინა, ეს კომისიები მოქმედებას შეუდგნენ. ამასთან გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, სადგურებზე ყველგან სასმელად ადუღებული წყალი იქონიონ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, გუბერნატორის მოწერილობის გამო, **სასანიტარო კომისიის** პირველი სხდომა დანიშნა დღეს, 26 ივნისისათვის. კომისიამ უნდა შეიმუშავოს ხოლერის საწინააღმდეგო ზომები.

◆ ზოგიერთ მებაღეთა ინიციატორობით, გორის მაზრაში არსდება მებაღეთა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს **გამართოს ქარხანა** გამხმარ ხილის დასამზადებლად. პირველი კრება წესდების გასაცნობად და, საზოგადოდ, საქმის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად მოხდება ივლისის პირველ რიცხვებში გორს. როგორც ამ საქმის ინიციატორთა მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, მარტო ლიახვის ხეობიდან გააქვთ წელიწა 10-15 ათას მანეთის ხილეულობა.

◆ ქუთაისიდან, ადგილობრივ სტუდენტებისაგან დეპეშა მივიღეთ. სტუდენტები მწუხარებას აცხადებენ **სამსონ თოფურიას** უდროოდ გარდაცვალების გამო.

◆ 22 ივნისს ლანჩხუთში, როგორც ბათუმელი გაზეთი გადმოგვცემს, **მოუკლავთ აკეთის სოფლის საზოგადოების მწერალი** მიხეილ ლომაძე. მკვლელი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

◆ დღეს, 26 ივნისს, დილის მატარებლით **საქართველოს ექსარხოსი** ხაშურს მიდის ეკკლესიის საკურთხევლად და იქიდან ახალქალაქის და ახალციხის მაზრაში სკოლებისა და ეკკლესიების სარევიზიოდ.

◆ 24 ივნისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, გადაიდოს 12,000 მანეთი ვერის მოედანზე **სადუქნე სახლების** ასაგებად.

◆ 23 ივნისს ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** დაგირავებულ მამულებისა. 24 მამულიდან გაიყიდა 19 მამული. დამატებითი ვაჭრობა დაინიშნა 30 ივნისისათვის.

◆ რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოებას გამოუგზავნია კავკასიაში ნ. ვ. ფოგენპოლი **იალბუზის მყინვარების** და ზოგ მდინარის სათავეების გამოსაკვლევად.

◆ თელავი. წელს თელავის საქალაქო სასწავლებელში 9 მოსწავლემ გაათავა სწავლა. ამათში 5 ქართველია, 3 სომეხი და 1 რუსი.

◆ ფუნიკულერის გამყვან საზოგადოების გამგეობამ შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რადგან ევროპიდან ფუნიკულერის მანქანები და სხვა იარაღი უკვე მივიღეთ, უკანვე დაგვიბრუნეთ ბედ შემოტანილი 10,000 მანეთიო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 24 ივნისს დაადგინა, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს სხვა გარდასახადებს გარდა ქალაქის დუქნების ქირების მოკრებაც დაავალოს.

◆ 1-დან 20 ივნისამდე ტფილისის მაზრის პოლიციის მოხელეებს 12 გვამი უნახავთ მტკვარში დამხრჩვალი და ნაპირებზე გამორიყული.

◆ 22 ივნისს ორთაჭალის გორაზე, მირზოევის სახლს ახლო, პოლიციელებმა ნახეს 15—16 წლის ყმაწვილის გვამი; ვინაობა მკვდრისა ან მიზეზი მკვლელობისა ჯერ ვერ გამოურკვევიათ. ჰფიქრობენ, ყმაწვილი ბოროტ-მოქმედებმა გაიტყუეს და შემდეგ მოჰკლესო.

◆ ტფილისის გუბერნატორმა 10 მანეთით დააჯარიმა შემდეგი სახლის პატრონნი წამსვლელ-მო-

---

გართულება, კულტურულ მოთხოვნილებათა გამრავლება და მამულების დავალიანება ხელს უწყობს ჩვენში საიჯარო ფასის ზრდას, ღალის თან-და-თან გადიდებას“ („მოამბე“, 1904 წ. I, გვ. 78).

ვინც ცოტად თუ ბევრად დაჰკვირვებია ჩვენი სოფლის ცხოვრებას, უეჭველია, შემჩნეული ექნება, რომ საიჯარო ფასმა ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად აიწია. ამის დამამტკიცებელი ფაქტები მრავალთ მრავალია აღნიშნული ტფილისის საადგილ-მამულო ბანკების „საქმეებში“. მაგალითად, სახელმწიფო სააადგილ-მამულო ბანკის აქაური განყოფილება სწერს სოფ. ჯუმათელეთის შესახებ; „აქ 1894 წლამდის საიჯარო ფასი იყო 4 მან. 80 კაპ. დესეტინაზე. ეხლა-კი (1898 წელს) დესეტინა სახნავ მიწაში იხდიან 6 მანეთს, მიუხედავად იმისა, მიწა დათესილია, თუ არა. კარგ მიწებში დღიურზე იღებენ 6, 8 და 10 მან. ან მოსავლის ნახევარს“. იმავე ბანკის ცნობებით საიჯარო ფასი არის: სამანიშვილის —კარში (ქართლი) 12, 14, 20 და 24 მანეთი ან 5 კოდი დესეტინაზე, აბისის ახლოს 9—11 მან., მეტეხში მოსავლის მესამედი და ნახევარიც, ტაშის-კარში 16 მან. ან 20 ფ. პური და 4 მუშა, მონასტერში მოსავლის მესამედი, ახალ ქალაქში 6 კოდი დესეტინაზე ან მოსავლის მესამედი, დვარებში მოსავლის მესამედი და ნახევარიც, დულევში მოსავლის მესამედი, საცხენისში (ტფილ. მაზრა) —მეოთხედი და მესამედიც; კახეთში: მესამედი და ნახევარი (სოფ. კურდღელაურში), მეოთხედი და მესამედი (რუისპირში და იყალთოში) და სხვ. ჩვენგან მეკრიბებულ ცნობებით, სოფ. ქვეშხეთში (ქართლი) საიჯარო ფასია 5 კოდი და 2 მუშა დესეტინაზე, სოფ. ქარელში მოსავლის მესამედი, 2 მუშა და 1 ურემი მუშა დესეტინაზე, სოფ. თიღვაში 4 კოდი და 2 მან. ფული, სოფ. ქვემო-ახაბეთში მოსავლის მესამედი და ნახევარიც და სხვ.

[illegible] უფრო დიდია საიჯარო ფასი ქუთაისის გუბერნიაში. „მიწის დიდ მოთხოვნილებას—სწერს კომიტეტი ამ გუბერნიის შესახებ—არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა ღალის გადიდებაზე, რომელიც მთელი მოსავლის 60%-დის აღწევს ხოლმე; როცა საიჯარო ფასი განისაზღვრულია, იმ შემთხვევაში იგი, მოუსავლობის დროს, მთელ მოსავალსაც აღემატება. იჯარის ფასს აქ ფულით იშვიათად იხდიან და როცა ფულდება, დესეტინის საიჯარო გადასახადი 30 მანეთამდის ადის“ (Труды, იქვე).

ამ სახით, როგორც ხედავთ, მთელ ტფილისის გუბერნიაში უდიდესი საიჯარო ფასებია ქართლში, სადაც ამ ჟამად ღალის ჩვეულებრივ რაოდენობად მოსავლის მესამედი უნდა ჩაითვალოს. იმერეთში ხშირია მიწის აღება სანახევროდაც,—იქ დღეს ღალა მესამედიდან ნახევარზე გადადის.

მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ღალა მიწის სრულ მოსავალზე იანგარიშება, საიდანაც არაა გამოკლებული გლეხის არც ხარჯები და არც საკუთარი მუშაობა. თუ ამ ხარჯებსა და მუშაობას მივიღებთ მხედველობაში, ვნახავთ, რომ მიწის საღალოდ მომუშავე გლეხი არა თუ ვერავითარ მოგებას ვერ პოულობს სასოფლო მეურნეობაში, არამედ პირდაპირ წაგებაში არის. როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, იმერეთში ერთი დესეტინა მიწის საშუალო მოსავალი შეადგენს 43—45 მანეთს. აქედან მიწის პატრონს უნდა მისცეს მოიჯარადრემ ($1/3$) 14 მან. 66 კაპ., წარმოების ხარჯებია 35 მან. მაშასადამე იგი ზარალობს დესეტინაზე 5 მან. 66 კაპეიკს. ქართლის დესეტინა სახნავ მიწის მოსავლად ჩვენ გამოვიანგარიშეთ (იქვე) 27 მან. 80 კაპ. წარმოების ხარჯები (23 მან. 75 კაპ.) და ღალა (მოსავლის მესამედი, 9 მან. 26 კაპ.) შეადგენს 33 მან 10 კაპ. და 5 მან. 21 კაპეიკით აღემატება შემოსავალს. მაშასადამე, გლეხი აქაც 5 მანეთზე მეტს აგებს დესეტინაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობა მისთვის ასეთ პირობებში ხელსაყრელი არაა და, ჩვენში რომ მრეწველობა იყოს განვითარებული და მუშა ხელს შეეძლოს ადვილად სამუშაოს შოვნა, უმამულო გლეხი მიწის მუშაობას ეხლავე თავს დაანებებდა და დღიურ სამრეწველო მუშად გახდებოდა.

ადვილი გასაგებია, რომ, როცა მიწის ფასს რენტის კვალობაზე ვითვლით, ფასი იმდენადვე მეტი გამოვა, რამდენადაც დიდია საიჯარო გადასახადი. მოსავლის მესამედის საფუძვლით დესეტინის ფასი გამოდის (6%-ის კაპიტალიზაციით) 183 მან. იმერეთში და 154 მან. ქართლში. ვთქვათ, ზოგიერთ მემამულის სურვილი აღსრულდა, მათ ნადელში ეს ფასი მისცეს და გლეხები ამის თანახმად დაავალიანეს. რა შედეგი მოჰყვება ამ „ოპერაციას“? უეჭველია, გლეხების მეურნეობის სრული დაცემა და ნაძალადევად გამოწვეულ „მესაკუთრეების“ გადატაკება. ამ გლეხების მდგომარეობა ბევრად უარესი იქნება მოიჯარადრე გლეხებისაზე. ესენი მაინც ღალას მოსავლის კვალობაზე იხდიან,—როცა ცუდი მოსავალია, გლეხიც ზარალობს და მემამულესაც ნაკლები მისდის. ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დაწესების შემდეგ-კი გლეხები ვალდებულნი იქნებიან სესხის სარგებელი იხადონ ყოველწლიურად, იმის მიუხედავად, წელიწადი მოსავლიანია, თუ არა. წლიური გადასახადები მათ „ნელდომკებად“ დააწვება და დავალიანების დაუშრეტელ წყაროდ გახდება.

ჩვენ აქ ვიხსენიებთ რენტის კვალობაზე მიწის დაფასებას და ვმარტავთ მის მნიშვნელობას მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაკვრით აღვნიშნოთ და გავარკვიოთ თითოეული მემამულეთა ეკონომიურ ინტერესის გამომხატველი შენიშვნა და მოსაზრება. თორემ ისე უცოფრებოდ და საიჯარო ფასებზე ლაპარაკის გაუბმელადაც შეიძლება დამტკიცება, რომ რენტის ეხლანდელ სიდიდეს სრულებით ხელი არა აქვს ნადელთან და ნადელის შეფასებასთან. საიჯარო ფასი დიდდება იმ მიწებზე, რომლებიც მემამულის სრულს საკუთრებას შეადგენს და იმათგან მიღებულ შემოსავლის სიდიდე მოთხოვნა—მიწოდების კანონს ემორჩილება. რენტა მატულობს, როცა იზრდება მიწის მოთხოვნილება, და კლებულობს, როცა იგი მცირდება. სანადელო მიწა-კი მებატონის სრულს საკუთრებას არ შეადგენს. იგი დროებით ვალდებულ გლეხის ხელშია; ამ მიწის მებატონე ვერ მიჰყიდის სხვას, თუ არ თავის გლეხს და ვერც ღალად აიღებს იმაზე მეტს, რაც „უსტავნი გრამოტებშია“ აღნიშნული (მოსავლის მეოთხედი). ცხადია, ნადელი და სხვა თავისუფალი მიწა ერთი და იგივე არაა. ის ღირებულება, რომელიც აქვს დიდი რენტის მომცემ თავისუფალ მიწას, ვერ დაედება ნადელს ფასად თუნდა მარტო იმ საფუძვლით, რომ მემამულეს არ შეუძლია ეს მიწა საბაზრო აღებ-მიცემობის საგნად გადააქციოს და გასაღების დროს მყიდველთა კონკურენცია გამოიწვიოს.

მაშასადამე, მემამულის მხრით აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ რენტა შემოსავალზე, რომელსაც აძლევს მას სანადელო მიწა. მემამულეს, რომელიც იცავს თავის ინტერესებს, შეუძლია მოითხოვოს, რომ მას სანადელო მიწაში მოსავლის მეოთხედის კვალობაზე გამოთვლილი ფასი მიეცეს.

ასეთი მოთხოვნა და ამ მოთხოვნის თანახმად ნადელების შეფასება ბევრს, შეიძლება, ეჩვენოს სამართლიანად და გლეხებისთვისაც ხელსაყრელად. ნამდვილად-კი ეს ასე არაა. ამ ნორმის მიხედვით აღებულ ვალსაც გლეხების მეურნეობა ვერ აიტანს, რადგან იგი არ აძლევს მშრომელს იმდენ შემოსავალს, რომ გლეხმა ვალის სარგებლის გასწორებაც შესძლოს და თან მეურნეობის წარმართვაც მოახერხოს.

შემდეგ წერილში ჩვენ გავარკვევთ ამ საგანს და იქვე გამოვთქვამთ ნადელების შეფასების შესახებ ჩვენს მოსაზრებასაც.

ფ. გოგიჩაიშვილი

(დასასრული იქნება)

მსვლელთა ცნობების მიუცემლობისთვის: პირველ უბანში: ანნა საგალოვისა, გიორგი კილაძე, ნიკო მანოვი, ანნა ოსიფოვისა, აგრაფენა ცუბულინისა, ალექსანდრა მურადოვისა, ივანე სტეფანოვი, მარიამ სადლუცკისა, დავით ლომიძე, ევგენი კალიადინისა, სოფიო ლებედევისა, მელანია ინდიკოვისა, მელიქ აზარიანცი; მე-უბანში.—იზმაილოვი: მე-9 უბანში—იოსებ ჯალალოვი. მე-10—უბანში დავით კოლუმბეკოვი.

◆ ამ დღეებში ჩუღურეთში მთელი ოჯახი მე—ისა, ხუთის სულისაგან შემდგარი, მოწამლულა ყველით. მოწამლულთ უბნის ექიმი სწამლობს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, 24 ივნისს, მეთევზეებმა გამოათრიეს მტკვრიდან გვამი ტფილისის მოქალაქის მეუღლის ედუკია ვასილიევისა, რომელიც მნაცაკონოვის ხიდიდან მტკვარში გადავარდნილა და დამხრჩვალა.

◆ 24 ივნისს, დილის 10 საათზედ, მტკვრის მარჯვენა ტოტში პაპკოვის წისქვილთან, იპოვნეს რაჭის მაზრის მცხოვრების ერასტი მუსერიძის გვამი, მუსერიძე წყალში გადავარდნილა და დამხრჩვალა.

◆ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სადგომში, 23 ივნისს, საზოგადო ვაჭრობის დროს, ტფილისის მცხოვრებს ვასილ დიმიტრიევისთვის ვიღაც ქურდს ჯიბიდან ამოუცლია 101 მანეთი.

◆ როგორც ვწერდით, ნაძალადევს მახლობლად ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა თათრებს და გაძარცვა. ორი, აბულაძე და ქლენტი, ამის შემდეგ გაქცეულან დიდუბისაკენ და თავის საშველად მტკვარში გადაცვივნულან. აბულაძეს გაუცურავს მეორე ნაპირზე, ხოლო დამხრჩვალ ქლენტის გვამი ორთაჭალასა და სოფელ ახთაქლას შუა, მტკვრის ნაპირს გამოგდებული უნახავთ. პოლიციამ დააპატიმრა დანარჩენნიც, ჩარექოვი, იონათამოვი და ლარიბაძე.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ გუშინ, 25 ივნისს, ქალაქის მმართველობის თაოსნობით, ქუთაისის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა ჭ პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის სამსონ თოფურიას სულის მოსახსენებლად; დაესწრნენ ყველა ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და დიდძალი ხალხი. დაკრძალვის დღე ჯერ არ არის დანიშნული. ქირისუფალთ ჰსურთ განსვენებულის გვამი საავადმყოფოს ბაღში დაკრძალონ, თუ ამის ნება დართეს.

◆ ექიმმა გ. ი. გოკიელოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის საბჭოს სახელზე, რომლითაც ურჩევს მას ქალაქის აფთიაქის შემოსავალი მოხმარდეს საქალაქო საავადმყოფოს და საზოგადოთ საექიმო-სასანიტარო საქმეს. მართლაც ქალაქი აფთიაქის შემოსავალს უკეთესს დანიშნულებას ვერც კი მისცემს. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დიდი მოთხოვნილება აქვს ქალაქს საავადმყოფოში. ქუთაისს, სადაც 40,000 მცხოვრები ითვლება, აქვს მხოლოდ ერთი ქსენონი 15 საწოლით, სადაც იღებენ მხოლოდ გადამდებ სენით ავადმყოფთ; სხვა გვარ ავადმყოფებისთვის კი ქალაქს აქვს მხოლოდ 4 საწოლი ს. ზ. თოფურიას საავადმყოფოში, რომელიც მუდამ დაკავებულია ავადმყოფთაგან. ამის გამო ქალაქს შედგენილი აქვს საწოლის მთხოვნელთა გრძელი სია და ავადმყოფთ რიგ-რიგად იღებენ საავადმყოფოში; ასე რომ ზოგიერთს ერთის თვის შემდეგ ხვდება საწოლი; ავადმყოფებს კი, მოგეხსენებათ, არ შეუძლიათ მთელის თვეობით უცადონ საავადმყოფოში საწოლის განთავისუფლებას. მართალია, ქალაქი მთავრობისაგან ელის 20 წლის ვადით უსარგებლო სესხს 50,000 მანეთს, რომელიც უნდა მოახმაროს საავადმყოფოს გახსნას, მაგრამ ეს როდის იქმნება ვინ იცის? ამიტომ ბ-ნ გოკიელოვის მოხსენება ქალაქმა უსათუოდ უნდა მიიღოს და ეხლავე გადასდოს აფთიაქის შემოსავალი საავადმყოფოს დასაარსებლად. ეს შემოსავალი პირველს წელს—აფთიაქის ახალს შენობაში გადმოტანიდან—15,000 მანეთზე ნაკლები არ იქმნება; ასე რომ ორი-სამი წლის განმავლობაში ქალაქი შესძლებს საავადმყოფოს შენობის როგორც აგებას, ისე საავადმყოფოს პირველს მოწყობას, თუ ვიანგარიშებთ, როგორც ბ-ნ გოკიელოვს აქვს ნაჩვენები, რომ საავადმყოფოში 30 საწოლი უნდა იქმნას ავადმყოფთათვის; შემდეგ-კი საავადმყოფოს შენახვას აფთიაქის მთელი შემოსავალი არც მოუნდება: როდესაც აფთიაქის შემოსავალს ასეთს კეთილს დანიშნულებას მისცემენ, მაშინ, დარწმუნებული ვარ, აფთიაქის შემოსავალიც ერთი-ორად იმატებს, რადგან ყველა დაინტერესებული იქმნება, რომ აფთიაქის შემოსავალი მეტი იქმნეს და ყველა ქალაქის აფთიაქს მიაშურებს. თუ აფთიაქის შემოსავალს მივუმატებთ საავადმყოფოს შემოსავალსაც, რომელიც წლიურად იქმნება არა ნაკლებ 5000 მანეთისა (თუ საავადმყოფოში 15 საწოლი იქმნება თითო მანეთიანი დღეში და 15 სულ უფასო), მაშინ თამამად შეიძლება ყოველ წლიურად გადაიდოს ქალაქის სხვა ხარჯებისთვის 6—8 ათას მანეთამდის, ე. ი. იმაზე მეტი, რამდენადაც ქალაქი აპირებდა აფთიაქის იჯარით გაცემას. ბ-ნ გოკიელოვის მოხსენება განიხილება 28 ივნისის საბჭოს სხდომაზე. საჭიროა, რომ სხდომას ხმოსანთა მეტი რიცხვი დაესწროს და მალე გადასწყვიტოს ეს კითხვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ პრივოლჟ. კრაი“-ს სწერენ სარატოვის მაზრის სოფ. სინენკიდან, რომ იქაურ გლეხთა შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე განხეთქილება მომხდარა. ამ სოფელში საერთო მიწათ-მფლობელობაა და გლეხებს ყრილობა მოუხდენიათ ადგილების ხელახლად გასაყოფად. მართლმადიდებელ გლეხებს არ უნდოდათ მწვალებელ—სექტანტებისათვის ადგილ-მამულის მიცემა. გლეხთა შორის ერთი გონიერი მოლაპარაკე აღმოჩნდა, რომელმაც განუმარტა მართლ-მადიდებელთ, თუ რა უსამართლოდ ექცეოდნენ თავიანთ მეზობლებს. „ჩვენი წინაპრები,—სთქვა ამ გლეხმა,—საერთო მიწა-წყალს ჰპატრონობდნენ, საერთო უღელს ეწეოდნენ, ერთნაირად გლეხები იყვნენ ყველანი, არაფერი გარჩევა არ იყო მათ შორის. თქვენ-კი ახლა რასა სჩადით? გინდათ ულუკმა-პუროდ დასტოვოთ ჩვენი მეზობლები, ჩვენი ძმა-კაცნი, მხოლოდ იმიტომ, რომ მართლმადიდებლობას გადუდგნენ, იმიტომ, რომ ჩვენ ეკკლესიაში არ დადიან და თავის შვილებს არ ნითლავენ? მერე ამნაირ ძალმომრეობით გინდათ დაუმტკიცოთ ჩვენ მეზობლებს, რომ ნამდვილი ქრისტიანები ხართ?“

ასე გონივრულად ილაპარაკა თავის მეზობელთათვის კეთილის მოსურნე გლეხმა, მაგრამ ვერაფერს გახდა. გლეხები გაჯიუტდნენ და არ აძლევენ თურმე ადგილ-მამულს მწვალებლებს.

◆ 9 ივნისს ქ. მოგილევის სასამართლოს განუხილავს საქმე ადგილობრივ საპატიმროს 3 ტუსაღთა შესახებ, რომელთაც ამ ორი წლის წინად არეულობა მოუხდენიათ საპატიმროში და მოქმედებით შეურაცხყოფა მიუყენებიათ პოლიცმეისტერ გრიგორაშვილისთვის, რომელიც ამ ჟამად სამსახურიდან გადამდგარი ყოფილა. დამნაშავეთ სხვა-დასხვა ვადით დაპატიმრება მიუსაჯა სისამართლომ. („ნოვ.“).

◆ „ვედ. ს.-პეტ. გრად.“-ში პეტერბურგის ქალაქის უფროსის შემდეგი ბრძანებაა დაბეჭდილი: „ავადმყოფი ებრაელები ხშირად დადიან მოსკოვში სამკურნალოდ და თან თავისი ნათესავები და მახლობელნი მიჰყავთ, იმის მიუხედავად, რომ ბინადრობის საზღვრის გარეშე მუდმივი ან დროებითი ცხოვრება აკრძალული აქვთ. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მხოლოდ იმ ავადმყოფ ებრაელთ და მათ მახლობელ-ნათესავებს მიეცემათ მოსკოვში ცხოვრების ნება, რომელნიც წინ-და-წინ ნებართვას აიღებენ მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერისაგან.

◆ ქ. პეტერბურგის გამგეობის უკანასკნელ შეფასებით მთელი ქალაქის უძრავი მამულები 517 ათას მილიონ მანეთად ღირებულა.

◆ პეტერბურგის სამკურნალო აკადემიის გამგეობა ჰგზავნის ამ ზაფხულში პროფესორს კავკასიაში მადნის წყლების შესასწავლად.

თეატრი

ს. ბანძა (სამეგრელო). 20 ივნისს აქაურ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს კომ. „ძუნწი“ და „ბაიყუში“. შემოსავალი უნდა გადაიდოს თეატრისათვის ახალ შენობის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად. მიუხედავად ასეთ სიმპატიურ აზრისა, წარმოდგენას მცირე საზოგადოება დაესწრო. ძლიერ გვაკვირვებს ბანძელების გულ-გრილობა იმისთანა კეთილ საქმისადმი, როგორიც თეატრია და მისი მოწყობა-რიგება. პირველად ითამაშეს „ძუნძი“. პიესამ საერთოდ კარგად ჩაიარა, მოთამაშეებმა ანსამბლი დაიცვეს და საზოგადოებასაც მოეწონა. მეორედ ითამაშეს „ბაიყუში“. ამ კომედიას სოფლებში ძალიან ხშირად სდგამენ და მოსწონთ კიდეც. ამ ჟამად სუსტად ითამაშეს. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები გაბუნიამ და ფალავამ. კარგი იქმნება, ამ ზაფხულს ხშირად გამართონ წარმოდგენები.

დამსწრე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ივნისი.

ლიაოიანი. მიღებულ ცნობებით, დატყვევებულ რუსებს კარგად ეპყრობიან. მხოლოდ საკმაოდ არ აჭმევენ.—იაპონიის ჯარში ძლიერ გავრცელებულია მუცელა და ხოლერა: უკანასკნელი სენი იმიტომ გავრცელდა, რომ ხორცის ჭამის უჩვევ იაპონელებს ახლა ჯანმრთელობისათვის ხორცს აჭმევენ.—კუროკის არმიაში მომღერლები ჰყავთ. დაშიჩაოში ცნობებია მოსული, იაპონია მანამდე არ დაჰყრის იარაღს, სანამ რუსებს მანჯურიიდან და აღმოსავლეთ ციმბირიდან ბაიკალის ტბის იქით არ განდევნიანო.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ჩინეთის წყაროდან მოსულ ცნობებით 21 ივნისს მოხდა ბრძოლა გორაკთან, პორტ-არტურის ჩრდილოეთით. რუსებს მოკლეს 100 კაცი და დაუჭრეს 50. იაპონელები, რომელთაც პორტ-არტურის გარშემო გორაკების მეორე წრე უჭირავთ, ჯარებს ჰგზავნიან ნახევარ კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ცხადია, ამ განზრახვით, რომ მეზღვაურთა ბანაკის წინააღმდეგ გაილაშქრონ· მეზღვაურთ უჭირავთ პოზიცია უმთავრეს გასავალს ზემოდ, პორტ-არტურის უკან. ჰფიქრობენ, რომ ციხის ბედ-იღბალი დამოკიდებული იქნება იმაზე, მიუვალი იქნება თუ არა ეს პოზიცია, რომელიც ოცი-ათის კაცისაგან შემდგარ მეზღვაურთა ქვეითა ჯარს უჭირავს.

ტოკიო. ოფიციალური. ტოგო იუწყება, კრეისერ „კაიმონ“-ის დაღუპვის შესახებ. 22 ივნისს „კაიმონ“-ი ტალიენვანის პირდა-პირ ხშირ ნისლის დროს წააწყდა რუსის ნაღმს და ჩაიძირა. დაიღუპა სამი აფიცერი, მათ შორის გემის უფროსი ნაკახაში და 19 უნტერ-ოფიცერი და ჯარის კაცი. დანარჩენი კომანდა გადარჩა.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). იაპონელები სიმაგრეებს აშენებენ ვოლჩი გორაზე, პორტ-არტურის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით ხუთი მილის მანძილზე, იმ განზრახვით, რომ იქიდან ყუმბარები დაუშინონ პორტ-არტურს.

შანჰაი. („რეიტ. სააგ.“). ჩიფუში მოვიდნენ გამოქცეული რუსები, რომელთაც 20 ივნისს მიატოვეს პორტ-არტური. ესენი ამტკიცებენ, რომ ამბავი რუსის სადარაჯო გემის დაღუპვის შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო.

ვეიჰაივეი. („რეიტ. სააგ.“). აქ მყოფი ინგლისის ესკადრა 4 ჯავშნიან გემისა, 4 კრეისერისა, 1 ტრანსპორტისა და 4 ნაღმიან გემისაგან შემდგარი, ნაშუადღევს უეცრად წავიდა, არ იციან საით.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბოულსის შეკითხვაზე, იკისრა თუ არა ბრიტანიის მთავრობამ სამხედრო გემის გაგზავნა პრიბილოვისა და სხვა კუნძულებისაკენ რუსების სამფლობელოსა და ზღვის კატების მრეწველობის დასაცველად და დარწმუნებულია თუ არა მთავრობა, რომ ეს საქციელი ნეიტრალიტეტის დარღვევა არ არის, ბალფურმა უპასუხა, ასე თუ მოვიქეცით, სრული თანხმობა იყო როგორც რუსეთისა, აგრეთვე იაპონიის მხრიდანაცაო და შეუძლებელია ეს შემთხვევა საერთაშორისო საკითხად გადაიქცესო. ბოულსი სკდება: პრიბილოვის კუნძულები რუსეთს-კი არ ეკუთვნის, შეერთებულ შტატების საკუთრებაა· ინგლისის სამხედრო გემი კომანდორის კუნძულებისაკენ მიდის, რათა 1893 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულობა აასრულოს. ინგლისის გემი წინა წლებივით ქვა-ნახშირს წაიღებს პეტრეპავლოვსკიდან. ამ გემის მოქმედება იაპონელთა გემებს არ შეეხება. იაპონიის მთავრობის თხოვნის თანახმად, მას უნდა ეცნობოს თვითეული შემთხვევა, რომელიც იაპონიის გემებს შეეხება, რათა თვითონ მიიღოს შესაფერი ზომები; ამნაირად არ შეიძლება დარღვეულ იქმნას ნეიტრალიტეტი, რადგან ინგლისის მთავრობა რუსეთისა და იაპონიის სურვილის თანხმად მოქმედებს.

25 ივნისი

სვინემიუნდი. იმპერატორი ვილჰელმი „ჰოჰენცოლერნ“-ით ჩრდილოეთისაკენ წავიდა სამოგზაუროდ.

გიანგცე („რეიტ. სააგ.“). გუშინ ინგლისელებმა, როდესაც იერიში მიიტანეს ტიბეტელების სამაგრეზე, მოუკლეს ერთი აფიცერი და სამი სალდათი და დაუჭრეს ოთხი აფიცერი და 23 სალდათი.

სოფია. („კორრესპ. ბიურო“). მინისტრ-პრეზიდენტმა პეტროვმა განაცხადა: ხმა, ვითომ ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი არსდებაო, სრულიად უსაფუძვლოაო. სერბიასთან პოლიტიკურ დაახლოვებაზე ჯერ კიდევ შორსა ვართო. ბოლგარიის და სერბიის დაახლოვება ეკონომიურს ინტერესებზეა დაფუძნებული. რაც შეეხება ჩერნოგორიას, მასთან დაკავშირებისთვის ბოლგარიას არც პოლიტიკური, არც ეკონომიური საფუძველი არა აქვს.—ბოლგარია-ოსმალეთის შეთანხმებამ უმთავრეს საკითხების შესახებ კარგი ნაყოფი მოიტანა.

ნიუ-იორკი („რეიტ. სააგ.“). თანახმად უტყუარის ნიშნებისა შეიძლება ვიფიქროთ, რომ დემოკრატიული პარტია ოქროს ვალიუტას დაუჭერს მხარს.

25 ივნისი

პეტერბურგი. დაინიშნა ლეიბ გვარდიის ცხენოსანთა პოლკის უფროსი გორნგორსი გვარდიის კორპუსის შტაბის უფროსად.

ლონდონი. ინდოეთის საქმეთა შესახებ სტატს სეკრეტარმა ბროდრიკმა წაიკითხა საზოგადოებათა პალატაში ოფიციალური დეპეშა, რომლითაც მტკიცდება „რეიტერის სააგენტო“-ს დეპეშის სინამდვილე ინგლისელთაგან ტიბეტში იონგის ციხის აღების შესახებ. მტრის რაოდენობა 5000 კაცია. ტიბეტელთა ზარალი არ იციან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის;
გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 28 ივნისს, დღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რიყე ქვისა და ქვიშის გასატანად.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 1 საათამდე.

(3—6.—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

60—189—51)

პატივისცემით ბ. გ. ბერიევი